**სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა
და განათლების ცენტრი**

მარშალ გელოვანის გამზირი №32გ
0159 თბილისი, საქართველო
+995 32 2 11 20 23
info@eiec.gov.ge
eiec.gov.ge

15 ივლისი 2024

N 01/1/1178

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიას

გაცნობებთ, რომ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში გზშ-ის პროცედურის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით ფ/პ გია ჩხატარაშვილის მიერ წარდგენილია სოფ. ლიხაურში ლურჯი მოცვის პლანტაციის გაშენების სკრინინგის ანგარიშის განცხადება.

სკრინინგის ანგარიშის განცხადების შესახებ ინფორმაცია თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად განთავსებულია გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე - www.ei.gov.ge. გთხოვთ, დოკუმენტაციასთან დაკავშირებული შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენა უზრუნველყოთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში **2024 წლის 24 ივლისის ჩათვლით** მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზირი №150 ან ელ-ფოსტაზე: eia@mepa.gov.ge.

ასევე, გაცნობებთ, რომ სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის თანახმად ვალდებულია, უზრუნველყოს გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების/დაინტერესებული საზოგადოების მონაწილეობა და ამ მიზნით შესაბამისი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გიგზავნით პროექტის შესახებ ინფორმაციას თანდართული დოკუმენტაციის სახით და გთხოვთ, უზრუნველყოთ წარმოდგენილი განცხადების განთავსება თქვენი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე ან/და ოფიციალურ ვებგვერდზე და წარმოგვიდგინოთ აღნიშნულის დამადასტურებელი ფოტომასალა.

დანართი: 5 (ხუთი) ფაილი (ელექტრონული ვერსია)

პატივისცემით,

თამარ ალადაშვილი

ცენტრის დირექტორი

სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE